პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 8 აპრილი, 1989 წელი ● № 15 (3095) ● СУББОТА, 8 АПРЕЛЯ 1989 г.

—პოზიცია—

## ჩვენი რიგების სიწმინდისათვის

თითქმის წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც გაიმართა მე-19 საკავშირო პარტიული კონფერენცია. იგი იმთავითვე სახელმძღვანელო და სამოქმედო პროგრამა გახდა ჩვენი განყოფილების პარტიული ორგანიზაციისათვის, თითოეული კომუნისტისათვის. შემდგომმა მოვლენებმა კიდევ უფრო ცხადყო კონფერენციის გადაწყვეტილებათა მიზანსწრაფულობა, რადგან თითოეულმა კრიტიკული თვალით შევხედეთ პარტიულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ფეხმოკიდებულ ხერიოზულ ნაკლოვანებებს, ნეგატიურ მოვლენებს.

თანამედროვე პირობებში არც ისე იოლია განსაზღვრო მილიციის მუშაკისათვის აუცილებელი ყველა დამახასიათებელი ნიშანი, მაგრამ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კომპეტენტურობა, პირადი პატიოსნება, მომთხოვნელობა. გალის შს რაიონული განყოფილების ხელმძღვანელობა, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეულ მუშაობას ეწევა კადრების ზუსტი შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სხვადასხვა თანამდებობაზე დაწინაურდა 10-ზე მეტი მუშაკი, ყოველწლიურად იზრდება პარტიული ფენა, დიდი ყურადღება ექცევა საჯაროობას თანამშრომელთა დაწინაურებისას, სკკპ რიგებში მიღებისა და წახალისების დროს. აღნიშნულ საკითხს იხილავს და წყვეტს შრომითი კოლექტივი.

ასევე უარი ვთქვით პარტიაში მიღების ძველ მეთოდზე, როდესაც შემოსულ განცხადებებს ვიხილავდით პირდაპირ ღია პარტიულ კრებებზე, ამჟამად პარტიაში მისაღებებს ჩვენ ვარჩევთ კოლექტივში წინასწარი განხილვით და ფარული კენჭისყრით. როგორც ჩანს არაა საკმარისი ხელმძღვანელი მუშაკის სახელი გერქვას, საჭიროა წინამძღოლის ყველა თვისება გაგაჩნდეს. თანამშრომელთა აღზრდისათვის ეფექტურად ვიყენებთ პარტიული სასჯელის ფორმებს. ბოლო ორი წლის მანძილზე პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით დაისაჯა 18 კომუნისტი, დასჯილი კომუნისტებიდან სათანადო დასკვნები გააკეთეს, მნიშვნელოვნად გარდაქმნეს მუშაობა კომუნისტებმა: ა. ტაბალუამ, ი. გადელიამ, ჯ. მირცხულავამ, ა. კვირაიამ, გ. ქორთუამ, ზ. ჰითანავამ და სხვებმა.

ასევე პარტიული დისციპლინის განმტკიცებაში დიდად გვეხმარება კომუნისტთა პარტიული დახასიათების, დისციპლინალური წესით დასჯილ კომუნისტთა საკითხების განხილვა ღია პარტიულ კრებებზე. კომუნისტების, უპარტიო თანამშრომლების გადაცდომის უმნიშვნელო ფაქტიც მკაცრი მსჯელობის საგანი ხდება, ტარდება მათთან ინდივიდუალური საუბრები, მაგრამ, რიგ შემთხვევაში, ყოველივე ესეც არაა საკმარისი და იძულებული ვხდებით დავითხოვოთ მილიციის მუშაკი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. გასულ წელს დავითხოვეთ სამი მუშაკი. ახლახან კიდევ ერთი თანამშრომლის, არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილების მილიციელის დ. ოთხოზორიას საკითხი განიხილა რიგოხანთა ამხანაგური სასამართლოს სხდომამ და მილიციის მუშაკისათვის შეუფერებელი მოქმედებისათვის, რაც გამოიხატა მის მხიდან უტაქტობაში, დანაშაულის ფაქტისადმი ხელის შეწყობაში და მომხდარი ფაქტის შესახებ მილიციის განყოფილებაში განუცხადებლობაში დაისვა საკითხი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან მისი დათხოვნის შესახებ. დღეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ დავუშვათ შეცდომები კადრების შერჩევაში, გზა არ გავუხსნათ მილიციის რიგებში ულირსებს. ამ დღეებში შევისწავლეთ კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა. გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, ახალგაზრდა კომუნისტი ი. გვაგვალია, რომელიც ახალგაზრდობის წინამძღოლია, არ ავლენს სათანადო ინიციატივას, არ არის მომთხოვნი საკუთარი თავისა და სხვებისადმი, პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი ფორმალურ ხასიათს ატარებს, პარტბიურო იშვიათად ინტერესდება ახალგაზრდული პრობლემებით, აღნიშნული კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ რიგ შემთხვევაში კომუნისტები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საწესდებო მოთხოვნების შესრულებას, მათი პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ჩატარებული მუშაობა არ პასუხობს დღევანდელ მოთ-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

## ОФИЦИАЛЬНАЯ ИНФОРМАЦИЯ

2 АПРЕЛЯ Генеральный секретарь ЦК КПСС, Председатель Президиума Верховного Совета СССР М. С. Горбачев отбыл из Москвы в Гавану с официальным дружественным визитом по приглашению Первого секретаря ЦК Компартии Кубы, Председателя Государственного Совета и Совета Министров Республики Куба Фиделя Кастро Рус.

* * *

В этот же день М. С. Горбачев по пути на Кубу совершил краткую остановку в ирландском аэропорту Шеннон, где состоялась встреча на высшем уровне с Премьер - Министром Ирландии Ч. Хохи.

* * *

3 апреля Генеральный секретарь ЦК КПСС, Председатель Президиума Верховного Совета СССР М. С. Горбачев прибыл в Гавану.

В ходе визита советская делегация посетила выставку социально - экономического развития республики—«Экспо-Куба», возложила венки к монументу Хосе Марти и к памятнику В. И. Ленину. Во дворце конгрессов кубинской столицы состоялось подписание Договора о дружбе и сотрудничестве между СССР и Республикой Куба.

* * *

5 апреля столица Великобритании встретила Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР М. С. Горбачева, прибывшего сюда с официальным визитом.

У входа в резиденцию М. С. Горбачева встретила Премьер - Министр Великобритании М. Тэтчер. Затем состоялась церемония подписания советско - английских документов.



დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ლანჩხუთის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებს შორის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი თენგიზ ცინცაძე, რომელსაც არაერთი ბოროტმოქმედი ჰყავს გამოვლენილი.

... რაიგანყოფილებაში შემოვიდა მახარაძელი მოქალაქე რ. დოლიძე და აღელვებულმა განაცხადა, რომ მას 21 საათზე რკინიგზის სადგურში მის კუთვნილ ავტომანქანა (ტაქსი) „ჟიგული — 2106"-ში ჩაუჯდა მოქალაქე და სთხოვა წაეყვანა იგი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯაპანაში. მგზავრმა ჯაპანა-კეთილარის გზაზე ცეცხლმსროლელი იარაღის მუქარით წაართვა ავტომანქანა და მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ ასეთივე ხერხით, იმავე აღწერილობის პირმა, იმავე ადგილიდან წაიყვანა მ. არველაძის მანქანა „ჟიგული — 2108", რომელიც კვლავ იარაღის მუქარით გაიტაცა. საქმის მოკვლევა და ბოროტმოქმედის დაკავება დაევალა თენგიზ ცინცაძეს. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მახარაძის რაიონის ტერიტორიაზე დააკავეს ადრე ნასამართლევი ო. რამიშვილი, რომელსაც გატაცებულ მანქანაზე დაყენებული ჰქონდა თვითნაკეთი ნომრები. მასვე დაუდასტურდა რ. დოლიძის კუთვნილი ავტომანქანის გატაცება, რომელიც მან 3500 მანეთად გაყიდა. თ. ცინცაძისა და მისი კოლეგების ოპერატიულმა და საზრიანმა მოქმედებამ კიდევ ერთი ბოროტმოქმედი გამოავლინა.

ზ. მგალობლიშვილის ფოტო.

## მიმდინარეობს გამოძიება

1 აპრილს აფხაზეთის ასსრ ქალაქ გაგრის ზონის სოფელ ლესელიძეში გაიმართა უსანქციო მიტინგი.

მიტინგის დამთავრების შემდეგ, გზაზე, ავტობუსში, რომელშიც მიტინგის მონაწილენი ისხდნენ, აგრეთვე მეორე ავტობუსში, რომელშიც დაკრძალვიდან დაბრუნებული ადამიანები იყვნენ, ჩაამსხვრიეს მინები. ზოგიერთი მგზავრი მსუბუქად დაშავდა.

შემთხვევის ადგილზე მოსული საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები აწარმოებენ გამოძიებას. დაკავებული არიან ხულიგნურ მოქმედებაში ეჭვმიტანილები.

2 აპრილს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები არ ყოფილა. 3 აპრილს ლექციებს არ დაესწრო ქალაქ სოხუმის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ერთი ნაწილი. იყო შეფერხებები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობაში.

(საქინფორმი)

ПОРЯДОК ВОКРУГ НАС

## БЕРЕЧЬ ЧЕСТЬ МУНДИРА

ОСНОВОЙ основ работы стражей правопорядка является неукоснительное соблюдение действующего законодательства, требований служебной дисциплины. К сожалению, пока еще не единичны случаи, когда сотрудники милиции. призванные по долгу службы быть для граждан образцом в соблюдении законов, сами же их нарушают, считают для себя не обязательным строгое их соблюдение.

Целый ряд фактов нарушений, пренебрежения всеми писаными и неписаными правилами был зафиксирован в ходе проведенного 7 и 8 марта ИЛС УК МВД ГССР, оргинспекторским отделом и ХОЗО министерства совместного рейда по выявлению и пресечению фактов нарушений соцзаконности и дисциплины среди личного состава, а также предотвращению нарушений сотрудниками правил дорожного движения и эксплуатации автотранспорта.

8 марта в ночное время на территории Тбилисского железнодорожного вокзала дежурившим там милиционером подразделения ППС УВД Тбилгорисполкома рядовым милиции М. Заридзе была остановлена и затем отпущена автомашина такси. Опрошенный участниками рейда водитель такси М. Капанадзе сказал, что остановили его без видимой причины, и что он по требованию М. Заридзе передал ему деньги в сумме 5 рублей, которые тот взял и отпустил его.

Опрошенный затем рядовой милиции М. Заридзе пояснил, что остановил указанную машину такси, проверил документы у водителя, и, сделав ему словесное предупреждение за невыключение сигнала поворота при въезде на территорию вокза-

(Окончание на 2-ой стр.).

(ОКОНЧАНИЕ)

ла, отпустил. По словам М. Заридзе, деньги он у водителя не брал, однако, по требованию участников рейда предъявил одну купюру достоинством в 5 рублей — все имевшиеся у него наличные деньги.

Дальнейшей проверкой было установлено, что М. Заридзе нес службу вместе с милиционером этого же подразделения младшим сержантом милиции Х. Мачаидзе, который во время переговоров с водителем такси отсутствовал и подошел позже. Оба сотрудника несли службу, используя принадлежащую отцу их сослуживца рядового милиции Д. Хоситашвили личную автомашину, которой управлял М. Заридзе без водительского удостоверения и доверенности. В нарушение принятых правил в автомашине была установлена громкоговорящая установка, а у М. Заридзе были обнаружены две карточки нарушения ПДД, заполненные 28 февраля и 2 марта нынешнего года.

Весь этот букет нарушений стал возможен в результате ослабления воспитательной работы и бесконтрольности за подчиненными со стороны руководства подразделения ППС, а также руководства Октябрьского РОВД г. Тбилиси, на которое возложены задачи проверки несения службы нарядами на территории вокзала. Об этом свидетельствует тот факт, что данный наряд не проверялся с 5 марта.

Нет, наверное, необходимости повторять, что пьяный водитель за рулем — потенциальный преступник, ибо ставит под угрозу не только свою жизнь, но и жизнь, и здоровье окружающих. Знал об этом, естественно, и милиционер РОВД им. 26 комиссаров г. Тбилиси В. Окиташвили, однако считал, видимо, что правила дорожного движения писаны не для него. Задержанный участниками рейда на посту ГАИ «Телети» Болнисского подразделения ДПС он признался, что управлял машиной, принадлежащей его отцу, в состоянии алкогольного опьянения, к тому же без водительских прав, техпаспорта и доверенности.

## БЕРЕЧЬ ЧЕСТЬ МУНДИРА

В этот же день в ночное время на посту «Телети» участники рейда и сотрудники подразделения ДПС Болниси пытались остановить автомашину ГАЗ-24, числящуюся за Учебным центром МВД ГССР, однако водитель не подчинился требованию сотрудников госавтоинспекции, проследовал мимо поста ГАИ в направлении г. Марнеули и был остановлен только на обратном пути в г. Тбилиси.

В ходе рейда были выявлены также милиционер ЛОВД на ст. Тбилиси Д. Абуладзе, управляющий собственной автомашиной, не имея при себе водительского удостоверения и техпаспорта, и водитель ОВО при Орджоникидзевском РОВД УВД г. Тбилиси Г. Апциаури, использовавший служебную машину, на которой не был опечатан спидометр, в личных целях.

При проверке документов у водителя ОВО при Марнеульском ГОВД ГАИ сержанта милиции О. Мамедова было установлено, что он управляет закрепленной за ним автомашиной ВАЗ-21011, хотя согласно водительскому удостоверению не имеет права на управление этой категорией автотранспорта. Помимо этого О. Мамедовым не был представлен техталон, путевой лист был заполнен не полностью.

По всем этим фактам нарушений сотрудниками милиции правил эксплуатации автотранспорта и ПДД направлены информации руководителям ОВД по месту их службы для принятия мер дисциплинарного воздействия, поставлен вопрос о целесообразности пребывания М. Заридзе и В. Окиташвили в органах внутренних дел.

Надо ли говорить, насколько подрывают подобные противоправные действия отдельных сотрудников авторитет милиции в глазах населения. Поэтому и борьба с теми, кто произвольно трактует законы, использует служебное положение в личных, корыстных целях, особенно сейчас, в условиях перестройки, расширения гласности и демократии в работе ОВД, должна вестись решительно и непримиримо.

**З. АМИЛАХВАРИ,**
**майор милиции, начальник ИЛС УК МВД ГССР.**

# ჩვენი რიგების სიწმინდისათვის

(დასასრული)

ხოვნებს. პარტიული და კომკავშირული აქტივის წევრები, პარტჯგუფორგები ინერტულობას იჩენენ, მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა ვერ გარდაქმნეს მუშაობა საგამოძიებო, უბნის ინსპექტორთა და სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების პარტჯგუფორგებმა.

ასევე მთელი რიგი ნაკლოვანებები გააჩნიათ მუშაობაში კომუნისტებს: სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროს ოპერრწმუნებულს ე. ჰეჟიას, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუკეთოს არასრულწლოვანთა ხაზით მომუშავე უბნის ინსპექტორებს, მაგრამ არ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა, შედეგად აღნიშნული სამსახურის მუშაობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ანალოგიური ითქმის სახანძრო დაცვის ქვეგანყოფილების უფროს ინსპექტორ ა. რაფავაზე, მასთან რამოდენიმეჯერ ჩატარდა ინდივიდუალური საუბარი, მაგრამ დასკვნები არ გააკეთა, მუშაობაში გააჩნია სერიოზული ნკლოვანებები, მას ემატება შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

ჩვენ მომავალშიც მკაცრად მოვთხოვთ ასეთ უპასუხისმგებლო მუშაკებს, სწორედ ამას მოითხოვს ჩვენგან გარდაქმნა. სამწუხაროდ გარდაქმნის მიმდინარეობის პერიოდში ზოგიერთები ჯერ კიდევ მოძველებული მეთოდებით ხელმძღვანელობენ, არ ასრულებენ საზოგადოებრივ დავალებებს ეს პირველ რიგში ითქმის კომუნისტ ხელმძღვანელებზე. შრომის დისციპლინის დარღვევა, ინერტულობა და გულგრილობა ყველგან როდი ფასდება ჯეროვანი პრინციპულობით, ეს კი დაღს ასვამს როგორც პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხს, ასევე პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, მათი წინამძღოლების ავტორიტეტსაც.

მაგრამ ნუ იფიქრებთ თითქოს ყველა ხელმძღვანელი, კომუნისტი აქტივისტი იმსახურებდეს კრიტიკულ შენიშვნას. მაღალი ოპერატიული სამსახურებრივი მაჩვენებლები, თანამშრომელთა ინიციატივის წარმოჩენა, მათი ენთუზიაზმისათვის მხარდაჭერა, მათთვის შრომის პირობების შექმნა მნიშვნელოვნად პარტიულ კომკავშირულ აქტივზეა დამოკიდებული, რასაც ბევრი წარმატებით ართმევს კიდევაც თავს, მათ შორის გვინდა დავასახელოთ: საპასპორტო, სახელმწიფო ავტოინსპექციის, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების ხელმძღვანელები: გ. ცუცხუბაია, ჯ. ბუკია, ზ. ძაძუა.

მთელი ჩვენი აქცენტი გადატანილია პარტიული და კომკავშირული აქტივის საზოგადოებრივი და პირადი თვისებების, მათი საქმიანობის დახვეწაზე, რადგანაც ვიცით რამდენად დაუთმობელნი უნდა ვიყოთ პირადულობის, მოჩვენებითობის, ფორმალიზმის, ქაღალდომანიის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვიცით რომ მთელი ჩვენი საქმიანობის ეპიცენტრი პირადი შემადგენლობის თითოეული თანამშრომლის, პირველ რიგში კი ახალგაზრდობის შუაგულში უნდა მოექცეს.

ასეთი შეგნებით, ამგვარი მუშაობით, ამგვარი რწმენით მიმდინარეობს დღეს გარდაქმნის პროცესი შინაგან საქმეთა რაიონულ-განყოფილებაში.

ჩვენი რიგების სიწმინდისათვის ბრძოლა გრძელდება.

**ჯ. გაბელია,**
გალის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ დარგში, მილიციის მაიორი.

# შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად

**ახლახან** საწარმოო გაერთიანება „თბილღვინოში" ჩატარდა თათბირი, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური საკუთრების დაცვასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გაძლიერების საკითხებს.

თათბირზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა ჯერ კიდევ შეინიშნება წვრილმანი ქურდობის ფაქტები. ამას წინათ მოხდა განსაკუთრებული შემთხვევა — წინანდლის ღვინის ქარხნიდან გაიტაცეს ოთხი ავტოცისტერნა, რომელთაგან ორი „თბილღვინოს" ეკუთვნის. აღინიშნა, რომ საჭიროა განსაკუთრებით გაძლიერდეს კონტროლი მუშაობის იმ მხარეზე, რაც დაკავშირებულია ავტოცისტერნებით ღვინოების გადმოტანასთან და შემოზიდვასთან პირველადიდან მეორად ღვინის ქარხნებში. აუცილებელია მოხდეს ღვინის გადმოსაზიდად გათვალისწინებული ავტოცისტერნების ტექნიკური უნიფიცირება. თათბირზე ითქვა, რომ საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება ავტოცისტერნების დოკუმენტაციის გაფორმების სისწორეზე: განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სახალხო კონტროლის ჯგუფების და კომკავშირული „პროჟექტორის" საგუშაგოების მუშაობის გააქტიურებაზე. გამომსვლელებმა ყურადღება მიაქციეს არასაუწყებო დაცვის მუშაკების მიერ სოციალისტური საკუთრების დაცვის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობას.



თათბირზე სიტყვით გამოვიდა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ვ. ისელიძე. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის „სახაგრომრეწვის" ღვინისა და არყის პროდუქტების საწარმოებში საგრძნობლად გართულდა ოპერატიული ვითარება, რაზეც მეტყველებს ბოლო დროს მომხდარი დატაცების ფაქტები. წინანდლის ღვინის ქარხნიდან, როგორც აღინიშნა, დაიტაცეს 29 ათასი მანეთის ღირებულების 18 ტონა „გარეჯი", კასპში კი 62 ათასი მანეთის ღირებულების 1400 ლიტრი სპირტი. გამომსვლელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევებიდან ბოლოსდაბოლოს უნდა გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები და დავსახოთ ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებები.

„თბილღვინოს" სისტემაში შემავალ საწარმოებში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად თათბირის მონაწილეებმა მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

# СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ

**ВЫШЕЛ в свет третий в нынешнем году номер журнала «Советская милиция», который открывается статьей министра внутренних дел СССР генерал - лейтенанта В. В. Бакатина «Все силы — делу перестройки».**

**К празднику Международного женского дня 8 марта в номере опубликован ряд материалов, фотодокументов, читательских писем, рассказывающих о женщинах-сотрудницах органов внутренних дел, их нелегкой работе по охране общественного порядка, борьбе с преступностью.**

**Под рубрикой «Курсом девятнадцатой партийной...» опубликованы беседа корреспондента журнала Т. Азерного с первым секретарем Верх - Исетского райкома КПСС г. Свердловска Г. Дронинным и материал под общим заголовком «Милиции нужна поддержка», в котором о роли и месте милиции на нынешнем этапе перестройки рассуждают делегаты XIX Всесоюзной конференции КПСС — председатель профкома трамвайно - троллейбусного управления г. Воронежа В. Поздняков и механизатор совхоза «Рощинский» Целинного района Алтайского края кавалер орденов Ленина, Октябрьской революции и Трудового Красного Знамени И. Пасечник.**

**Семидесятилетию советской криминалистики посвящены интервью под заголовком «Временем проверенное дело», в котором на вопросы корреспондента журнала капитана милиции Т. Колгановой отвечает начальник Экспертно - криминалистического управления МВД СССР доктор юридических наук, профессор, полковник милиции В. Снетков, краткие очерки об основоположниках советской криминалистики.**

# С молодым задором

**ТВОРЧЕСКИЙ** подход к делу, постоянный поиск новых нестандартных форм и методов работы характеризует молодежный коллектив подразделения по охране гособъектов и учреждений УВД Тбилгорисполкома.

Много интересных мероприятий проводится в этом коллективе, основу которого составляет молодежь. Здесь и, ставшие традиционными, встречи с ветеранами органов внутренних дел, и участие в праздновании Дня молодого сотрудника, возложение цветов к памятникам погибшим на боевом посту работникам милиции, посещение музеев, турпоходы по местам боевой славы и многое другое. Под руководством комитета комсомола периодически выходит стенгазета «Голос комсомольца», которая объективно отражает жизнь подразделения. В комсомольской организации принято решение проводить собрания в форме дискуссий.

Активную роль во всех этих мероприятиях играют лидеры молодежи — комсомольские вожаки. Среди них — секретарь комитета комсомола, студент юридического факультета ТГУ младший сержант милиции Николай Мазмишвили. Он инициатор многих начинаний, обладает хорошими организаторскими способностями, умеет заинтересовать молодежь, повести ее за собой.

«Коллектив у нас интернациональный, дружный, в нем царит дух понимания и взаимопомощи, что очень помогает в повседневной деятельности, — говорит Николай Мазмишвили, — главным в работе нашей комсомольской организации мы считаем воспитание у молодых сотрудников общественно - полезных качеств».

Одним из активных комсомольцев. Николай назвал младшего сержанта милиции Георгия Голубнани успешно совмещающего общественную работу с четким выполнением служебных обязанностей. Георгий сравнительно недавно в милиции, но у него уже пять поощрений за хорошую работу, участие в рейдах.

У самого Мазмишвили почти два десятка поощрений, благодарностей и денежных премий от руководства УВД Тбилгорисполкома и МВД ГССР. Оба они, кстати, пришли в ОВД по рекомендациям райкомов комсомола, которые стали для них настоящей путевкой в жизнь.

Заместитель командира подразделения капитан милиции В. Гаглоев отзывается о них как о дисциплинированных и исполнительных работниках, на которых можно положиться в любом сложном деле. «Я бы с ними в разведку пошел», — улыбается Валериан Георгиевич. О многом говорит эта фраза.

**В. ГАМАЕВА.**

# Нетрудовым доходам — надежный заслон

**ВСЕ** большее воздействие на оздоровление обстановки в сфере экономики оказывают внедряемые сейчас повсеместно хозяйственный расчет, принципы самоокупаемости и самофинансирования. Однако, многие факторы, способствующие совершению преступления, такие, как несовершенство учета и отчетности, недостатки ценообразования, технологии, стандартизации и т. д., еще продолжают действовать и являются питательной средой для организованных хищений, в частности, в торговой сети, припрятывания товаров. Только за прошлый год аппаратом БХСС Управления внутренних дел Юго-Осетии в сфере торговли вскрыто 18 фактв хищений, 40 фактов обвеса, обсчета и припрятывания товаров, 7 фактов злоупотреблений служебным положением. Общая сумма ущерба, нанесенного государству, составила 135 тысяч рублей.

Заведующий промтоварным складом Цхинвальского райпотребсоюза Г. Бабаев ухитрился всего за шесть месяцев — с июня по декабрь 1988 г. — похитить государственного имущества на сумму 4.300 рублей. Он же допустил продажу со склада товаров на общую сумму 6 тысяч рублей. Обойти своего коллегу в этом далеко не благовидном деле вознамерился заведующий складом облпотребсоюза Юго-Осетии В. Джиоев, который только за две недели расхитил госимущества на сумму 2.262 рубля.

Повар хинкальной в поселке Знаури Д. Беставашвили кроме своей основной профессии — приготовления хинкали — овладел и смежной, правда не столь достойной как первая — хищением государственного имущества. Овладел он этой профессией настолько неплохо, что сумел прикарманить около двух с половиной тысяч рублей. Но все это не идет ни в какое сравнение с делами другого «смежника» — буфетчика этой же хинкальной Г. Марджанидзе, который совершил хищения на сумму 9.723 рубля. Так что не совсем ясно, какая профессия является для него основной — та, что записана в трудовой книжке — «буфетчик», или та, из-за которой им заинтересовались работники ОБХСС.

В настоящее время перед аппаратом БХСС УВД Юго-Осетии стоит вопрос о необходимости внесения существенных коррективов в стратегию борьбы с преступлениями в сфере торговли, цель которых — сосредоточить усилия на предупреждении, выявлении и своевременном раскрытии крупных замаскированных хищений. Это отнюдь не говорит об ослаблении борьбы с относительно незначительными по размерам, но многочисленными правонарушениями, такими, например, как припрятывание товаров.

Подобных примеров также можно привести множество. Так, продавцы магазина № 13 Цхинвалторга С. Гаглоев, В. Едишерашвили, Л. Лалиева припрятывали от покупателей мясо, масло, муку. Товаровед Цхинвальского автомагазина «Жигули» укрыл различных автозапчастей на сумму 9 тысяч рублей. Заведующая магазином горного цеха Квайсинского рабпо Н. Танделова припрятала товаров на сумму 245 рублей.

Выявление таких правонарушений как отпуск товаров из подсобного помещения, сокрытие товаров с целью дальнейшей продажи, чаще всего, по завышенной цене, — дело многотрудное и хлопотливое, но крайне необходимое. Нужно полностью изобличать лиц, посягающих на установленный законом порядок реализации товаров населению, обеспечить совместными усилиями всех служб органов внутренних дел надлежащий порядок в сфере торговли. Ключ к выполнению этой задачи — в комплексном использовании всех имеющихся сил и средств органов милиции, опоре на трудовые коллективы, общественность, установлении прочных повседневных контактов с контролирующими и финансовыми органами.

**В. ТЕДЕЕВ,**
**майор милиции, старший оперуполномоченный ОБХСС УВД Юго-Осетии.**

# ბოროტმოქმედთა საქმიანობის დასასრული

**ალბათ** ბევრ ჩვენგანს გაუგონია — „თამუნია! ჭამე კარაქიანი პური, თორემ მილიციელი მოვა და წაგიყვანს!“ ნუთუ თამუნიას მშობლები და ბევრი მათი მგსგავსნი არ ფიქრობენ, რომ სწორედ ამ ვითომ და ხუმრობით ნათქვამი სიტყვები ბავშვის მეხსიერებაში რჩება როგორც რაღაც შიშის მომგვრელი გრძნობა.

რასაკვირველია თამუნია რომ გაიზრდება თვითონვე მიხვდება იმას, რომ სწორედ ის მილიციელი, რომელსაც თამუნია უნდა წაეყვანა მილიციაში მის სიმშვიდეს, ზოგჯერ კი სიცოცხლესაც იცავს. კარგი იქნებოდა მშობლებს ბავშვებისთვის ჩაგვენერგა მილიციის მუშაკების სიყვარული და პატივისცემა, რომელთა უმეტესობაც ამას იმსახურებს. რამდენი ქურდი, ბანდიტი, საქმოსანი და ნარკომანი გამოამჟღავნეს მილიციის მუშაკებმა. სწორედ მათი თავდადებული საქმიანობა, მაღალი პროფესიული ოსტატობა უნდა გახდეს ახალგაზრდების მისაბაძი.

...ჩატარებული ოპერატიული მუშაობის შედეგად, ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებმა კიდევ ერთი შხამით მოვაჭრეთა ჯგუფის საქმიანობას დაუსვეს წერტილი. ამ დღეებში ოპერატიულმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ლ. ჩიჩუა, ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულები: მილიციის უფროსი ლეიტენანტი ი. გვეტაძე და მილიციის ლეიტენანტი გ. ქოჩიაშვილი, ჯგუფის ხელმძღვანელი, განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერდარგში, მილიციის მაიორი გ. ქეშელაშვილი, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე კაფე „ახალგაზრდულის“ წინ დააკავა ა. ბ., რომელსაც აღმოაჩნდა 6,5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება. როდესაც მილიციის წარმომადგენლები ა. ბ-ს ბინას ამოწმებდნენ, მის მეუღლეს აღმოუჩინეს თითქმის ამავე რაოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებანი. სულ მოკლე ხანში ოპერატიულმა ჯგუფმა უკვე იცოდა ამ ნარკოტიკული ნივთიერებებით მოვაჭრე რეალიზატორის ვინაობა. ის აღმოჩნდა გ. ჩ. რომლის ბინის ჩხრეკვის დროს ნაპოვნი იქნა 21 გრამზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერებანი. თვითონ გ. ჩ.-ს ჯიბეზე ჰქონდა სარეალიზაციოდ გამზადებული 4 გრამამდე ნარკოტიკი. ჯგუფის წევრებმა გ. ჩ.-ს მეგობარ ქალს ი. ნ.-ს აღმოუჩინეს საავადმყოფოდან „ხელს გამოყოლილი“ 15 ამპულა ძლიერად მომქმედი პრეპარატი „ეფედრინი“, 5 პროცენტიანი 25 ცალი რელანიუმი, 5 ცალი ელანიუმი და 10 გრამზე მეტი ჰაშიში. ბოროტმოქმედთა ჯგუფის საქმიანობას წერტილი დაესვა.

**გ. მგალობლიშვილი.**

* * *

**სურათზე:** განყოფილების თანამშრომლები ათვალიერებენ ამოღებულ ნივთმტკიცებებს.

ავტორის ფოტო.



# მამის კვალზე

**მილიციის** კაპიტან რეზო ჭანტურიას რომ იტყვიან ცხოვრებაში გაუმართლდა. — მის გვერდით ყოველთვის იყვნენ პატიოსანი, თავის საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებული ადამიანები. პირველი კი მათ შორის იყო მამა, რომელმაც 30 წელზე მეტი იმუშავა სისხლის სამართლის სამძებროში. შინაგან ჯარებში სამსახურის შემდეგ რეზომ თბილისის მილიციის სპეციალური



საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ კი სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტიც. — მილიციაში მუშაობა რომ ძალზე ძნელი იყო მე ამას ბავშვობიდანვე ვხედავდი, — გვეუბნება რეზო, — მაგრამ ეს ნაბიჯი მე შეგნებულად გადავდგი. ამ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ ვინ გაგიწევს დამრიგებლობას. საბედნიეროდ მე ოჯახის ტრადიციების გამგრძელებელი ვიყავი და მამაც ყველანაირად მეხმარებოდა. ხშირად ოპერაციებზეც მივყავდი. ჩემი პირველი საქმეც კარგად დამამახსოვრდა. 1970 წელს მამასთან ერთად საკავშირო ძებნილი დავაკავეთ, რომელმაც თავისუფლების საფასურად 50000 მანეთი შემოგვთავაზა მაგრამ... რესპუბლიკის შს მინისტრის პირველი მადლობაც მაშინ დავიმსახურე. რა დამავიწყებს კიდევ ერთი დამრიგებლის რ. გვენცაძის გაკვეთილებს... ერთხელ შეიარაღებული ბოროტმოქმედის, მეტსახელად „ცალხელას“ დასაკავებლად ოთახში მე და რ. გვენცაძე ერთად შევედით, მაგრამ იგი მაინც ჩემზე ოდნავ წინ აღმოჩნდა და ტანითაც დამიფარა...

რეზო თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილებაში მუშაობს. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას, რისთვისაც შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის მანძილზე დაჯილდოვებულია საპატიო სიგელით, „მილიციის ფრიადოსნის“ სამკერდე ნიშნით, გამოცხადებული აქვს 30-ზე მეტი მადლობა. დარწმუნებული ვართ, რომ რ. ჭანტურია მომავალშიც არ შეირცხვენს თავს და ღირსეულად ატარებს ჩეკისტის სახელს.

**ბ. თათეიშვილი.**

# დამსახურებული ჯილდო

**ახლახან** ბორჯომის რაიონის მინის ტარის ქარხანაში ჩატარდა შეხვედრა ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების არასაუწყებო დაცვის განყოფილების მოწინავე თანამშრომლებთან, რომლებმაც გაიმარჯვეს რესპუბლიკურ სოცშეჯიბრში.

სოცშეჯიბრში გამარჯვებულებს მიულოცეს ბორჯომის პარტიის რაიონული კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილემ ზ. გოგოლაძემ, შუშის ქარხნის დირექტორმა გ. კურტანიძემ, პროკურორის თანაშემწემ ც. გორგაძემ, შინაგან საქმეთა ბორჯომის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანმა ნ. კაპანაძემ.

კოლექტივს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდამავალი ვიმპელი და საპატიო სიგელი გადასცა ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ სამსახურის დარგში, მილიციის მაიორმა ქ. მიქელაძემ.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის აგიტმხატვრული ბრიგადის „სადღეისოს“ კონცერტი.

**ა. არამაძე.**

* * *

**სურათზე: ბორჯომის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ქ. მიქელაძე (მარცხნიდან) ვიმპელს გადასცემს არსაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსს ო. მანჯავიძეს.**



# როცა ქვეგანაყოფი ბრძოლისუნარიანია

**ამას** წინათ ფოთის სახანძრო დაცვის ცენტრალურ სადისპეტჩერო პუნქტში ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა. მეელსმენე რ. კალმახელიძემ მეოთხე საშუალო სკოლაში ხანძრის შესახებ ცნობის მიღებისთანავე ჩართო ხანძრის მაუწყებელი საგანგაშო სიგნალიზაცია. დისპეტჩერმა მ. ქორქიამ შემთხვევის ადგილზე გააგზავნა ხუთი სახანძრო ავტომანქანა. მორიგე ქვეგანაყოფები დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილის, შ/ს უფროსი ლეიტენანტის თ. ხაზალიას მეთაურობით მყისვე გაემართნენ შემთხვევის ადგილისაკენ. როგორც კი გამოჩნდა, რომ სკოლის შენობის სახურავზე ხანძარი ბობოქრობდა თ. ხაზალიამ ადგილზე მისვლამდე შეაფასა ვითარება, საჭიროდ ცნო ავტომექანიკური კიბის გამოძახება. სახანძრო ქვეგანაყოფებს დაუსახა სწორი და გადამწყვეტი ამოცანა. ელვის სისწრაფით ჩატარდა საბრძოლო გაშლა. სახურავზე დაახლოებით ასორმოცდაათი კვ. მეტრის ფართობზე იწვოდა ბითუმი მასზე გადაკარგული რუბროიდით. ძლიერი ქარის მეშვეობით ხანძარი სწრაფად ვრცელდებოდა. ძალებისა და საშუალებების სწორად განაწილებით ხანძარი მალე ლოკალიზებული იქნა. ხანძრის ადგილზე მოსულმა გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსმა, შ/ს კაპიტანმა ტ. ხოშტარიამ თავის თავზე აიღო ხანძრის ქრობის ხელმძღვანელობა.

ხანძარი ლიკვიდირებული იქნა უმნიშვნელო ზარალით.

ხანძრის ქრობაში მამაცური მოქმედებით გამოირჩეოდნენ: ყარაულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ტ. ქარჩავა, ათმეთაური ვ. ნოზაძე, მეხანძრეები ვ. ჭაჭია, ვ. კაპანაძე, ა. ბურჯანაძე, ლ. რუსიძე, ი. იაკუშა, ა. ლიტვინოვი.

ასეა ყოველთვის, როდესაც სახანძრო ქვეგანაყოფი ბრძოლისუნარიანია სტიქია უკან იხევს.

**ლ. ჟოჟუა**
**ფოთის პროფესიული სახანძრო რაზმის უფროსი.**

## ТОЛЬКО ФАКТЫ

◆ **30 МАРТА** сотрудниками Глданского РОВД г. Тбилиси совместно с сотрудниками 2 отделения РОВД задержан разыскиваемый по всесоюзному розыску А. Т.

◆ 30 марта сотрудниками ЛОВД на ст. Тбилиси задержан О. Ч., ранее судимый, житель Краснодарского края, который совершил кражу портфеля с личными вещами.

◆ 30 марта в пос. Диди Дигоми неустановленный преступник на почве внезапно возникшей ссоры нанес ножевое ранение в область груди Лери Кванталиани, который по доставлению в больницу скончался. Принятыми мерами по «горячим следам» сотрудниками Сабурталинского РОВД г. Тбилиси преступник установлен и задержан.

◆ 31 марта сотрудниками Цхинвальского ГОВД задержан О. Г., житель с. Кватетри, который с автомашины «ВАЗ-2121», принадлежащей жителю г. Цхинвали, совершил кражу стекол.

◆ 1 апреля сотрудниками Махарадзевского РОВД уличена домохозяйка Е. К., которая за 100 рублей продала блок сигарет «Палмер». На квартире обнаружены в большом количестве жевательные резинки «Дональдо», 10 блоков сигарет «Винстон» и 7 блоков лезвий для бритья.

CITIUS

# Внимание!

КАЖДЫЕ ВТОРНИК и ПЯТНИЦУ с 8.30 до 10.00 ч
НА СПОРТИВНЫХ БАЗАХ СТАДИОНА „ДИНАМО" ПРОВОДЯТСЯ ЗАНЯТИЯ ПО ОБЯЗАТЕЛЬНОЙ ФИЗПОДГОТОВКЕ СОТРУДНИКОВ ЦА МВД ГССР.

*Отдел физподготовки и спорта МВД ГССР*

• ეს წერილი პირველ ყოვლისა ალბათ ხელმძღვანელებს ეხება; იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც არავითარ ღონეს არ ხმარობენ თავიანთი თანამშრომლების სპორტული მომზადების და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, ჯანმრთელობა კი თუ ერთხელ შეირყა მერე მისი აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასეთი უპასუხისმგებლობით რიგი ხელმძღვანელებისა იგნორირებას უკეთებენ საკავშირო შს მინისტრის ბრძანებას, რომლის მიხედვითაც შს ორგანოების პირადი შემადგენლობა ვალდებულია კვირაში ორჯერ თითო-თითო საათი (სამუშაო დროის ხარჯზე) მოახმაროს ფიზმომზადებას. ხელმძღვანელები შემთხვევით არ ავღნიშნეთ დასაწყისში, როგორც ჩვენმა სინამდვილემ დაგვანახა სწორედ მათი დიდი როლი უნდა იგრძნობოდეს და პირადი მაგალითი უნდა ჩანდეს ამ საჭირბოროტო საკითხის გადაჭრაში.

# ანუ თანამშრომელთა

შს სამინისტროს შენობაში და მის გარეთაც ხშირად შევხვედრივართ თანამშრომლებს რომელთა „გაბარიტები" იმდენად არასტანდარტულია, რომ მისი ხილვა უნებლიე ღიმილსაც კი იწვევს, მაგრამ ეს თანაგრძნობის ღიმილი როდია, ეს უფრო დაცინვის მწარე ღიმილია. წარმოიდგინეთ გარეშე თვალისათვის რა ანტიპატიას იმსახურებენ მთელი შს ორგანოების თანამშრომლები ერთი მხოლოდ ლიპიანი ავტოინსპექტორის ან ჩაკუჩატებული უბნის ინსპექტორის დანახვაზე (მესამე ფოტო). ისეთი სპეციფიკური სამსახურებიც კი, რომლებსაც ყველაზე უფრო მეტად ესაჭიროებათ მუდმივ სპორტულ ფორმაში ყოფნა იშვიათი გამონაკლისის გარდა თავს არ იწუხებენ და დროის უქმარისობას აბრალებენ, რომ მათი კომპლექცია და ჯანმრთელობა სავალალო მდგომარეობაშია.

ჩვენი გაზეთის რედაქცია მიჰყვა რა სამინისტროში გამოკრული განცხადების კვალს (პირველი ფოტო). რამოდენიმეჯერ მოაწყო რეიდი „დინამოს" სტადიონზე, მაგრამ სურათი ყოველთვის ერთი და იგივე დაგვხვდა (მეორე ფოტო). ვარჯიშობს რვა, ათი კაცი კავშირგაბმულობის განყოფილებიდან და ორი, სამი კაცი სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოდან.

არაერთხელ დაისვა ფიზიკური აღზრდის საკითხი ოპერატიულ თათ-

ALTIUS



# ფიზმომზადების

ბირებზე, მიეთითა კონკრეტულად სამსახურების ხელმძღვანელებს, ჩატარდა რაიგანყოფილებების ფიზმომზადების ნორმატიული შემოწმებები, მაგრამ შედეგი როგორი საგანგაშოც იყო ისეთივე დარჩა.

შესაშურ ენთუზიაზმს იჩენენ ამ საკითხში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები, რომლებიც რატომღაც არც ვარჯიშებს აცდენენ და არც დროის უქმარისობას უჩივიან, თუმცა სამუშაო დღე მათაც საკმაოდ დატვირთული აქვთ, საქმისადმი ასეთი კეთილგონიერი დამოკიდებულება კი მათი ტერიტორიული და პროფესიული სიახლოვის მიუხედავად შს სამინისტროს თანამშრომლებზე რატომღაც ჯერჯერობით ვერავითარ დადებით ზეგავლენას ვერ ახდენს.

ეს სტატია ოპტიმისტებისათვის, ვისაც სჯერა, რომ სიტუაცია გამოსწორდება ძველ ოლიმპიელთა მო-

წოდებით (უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერად) დავიწყეთ და გვინდა, რომ ეს ყველას გვჯეროდეს თუნდაც იმიტომ, რომ „ჯანსაღ სხეულში, ჯანსაღი სულია".

ხ. ალავიძე.

FORTIUS



# შესახებ...

# На сцене—самодеятельные артисты

**АКТИВНОЕ** участие в художественной самодеятельности, занятие творческой деятельностью играют большую роль в деле нравственно - эстетического воспитания сотрудников органов внутренних дел. Большая работа по привлечению сотрудников ОВД, членов их семей к художественной, творческой деятельности проводится в системе МВД Аджарской АССР.

Политотделом МВД автономной республики в 1988 г. проведено изучение и анализ состояния работы политработников, партийных и комсомольских организаций ГОРОВД, пожарных подразделений Аджарской АССР по улучшению нравственно-эстетического воспитания личного состава, отмечены имеющиеся недостатки, намечены пути их устранения. Для организации мероприятий фестиваля был создан оргкомитет под председательством заместителя министра внутренних дел Аджарии полковника милиции Г. Асамбадзе.

Фестиваль открылся в мае прошлого года праздником духовой музыки, проведенным силами созданного по инициативе политотдела министерства в 1987 году самодеятельного духового оркестра министерства (художественный руководитель — В. Задорин). В концерте приняли участие также женская вокальная группа, и вновь созданные ВИА центрального аппарата МВД Аджарской АССР и мужской квартет сотрудников Батумского ГОВД.

Руководством, политическим отделом министерства принимаются меры по повышению роли начальников отделов и служб в вовлечении сотрудников в творческую деятельность, многие из которых принимают в ней непосредственное участие. Так, например, начальник ОВО при Батумском ГОВД подполковник милиции Т. Мжаванадзе является членом вокального квартета отдела, в вокальной группе Кедского РОВД поют заместитель начальника отдела капитан милиции Н. Шервашидзе, руководители служб БХСС, ГАИ старшие лейтенанты милиции С. и О. Беридзе, в хоре ОПО МВД Аджарии участвуют 8 командиров подразделений и т. д.

Стало традицией участие самодеятельных коллективов и исполнителей в посвященных юбилеям служб ОВД торжествах, мероприятиях, способствующих укреплению связей органов милиции с трудовыми коллективами, учебными заведениями региона. В прошлом году самодеятельные коллективы МВД Аджарии приняли участие в праздничных демонстрациях 1 Мая и 7 ноября, организовали концерты в ДК Батумского нефтеперерабатывающего завода, в День пограничника — в погранотряде в Батуми, в День защиты детей — в Махинджаурском детском доме, 5 комсомольско-молодежных вечеров в клубах Грузинского морского пароходства и завода «Электрокар», выступали на городских молодежных вечерах, дискотеках.

Создаются условия и для дальнейшего развития народных ремесел. В начале истекшего года в Москву на выставку работ сотрудников МВД СССР, посвященную 70-летию со дня героической гибели милиционеров Е. Швыркова и С. Пекалова, которая экспонировалась в гг. Вологде, Ленинграде, Вильнюсе, Таллинне, Риге, были направлены изделия декоративного вязания секретаря-машинистки Хулойского РОВД М. Таварткиладзе.

Активно ведется пропаганда успехов коллективов и участников художественной самодеятельности на страницах газет «Сабчота Ачара», «Советская Аджария», районных газет «Октомбрис гзит» (Хелвачаурский район), «Дроша» (Шуахевский район), оказывается помощь самодеятельным артистам со стороны общественности, творческой интеллигенции автономной республики.

Всего в настоящее время в органах и подразделениях ОВД Аджарской АССР функционирует 10 коллективов художественной самодеятельности, объединяющих более двухсот человек. На ближайшую перспективу у большинства из этих коллективов намечены интересные мероприятия, в том числе проведение выставки декоративно - прикладного искусства, участие духового оркестра МВД Аджарии и ВИА центрального аппарата министерства в смотре духовых оркестров и агитколлективов ОВД страны и многие другие. Хочется пожелать самодеятельным артистам, народным умельцам ОВД Аджарии постоянного самосовершенствования в избранном деле, новых творческих успехов.

**В. ТАТАЕВА,**
**капитан внутренней службы, инструктор группы культмассовой работы политотдела МВД ГССР.**

ოპერრწმუნებულმა ვარლამ ცქიფურიშვილმა პასუხისმგებელ მორიგეს დაკავებული ამირან დობორჯგინიძის მოყვანა დაავალა, ორიოდე წუთში ეს უკანასკნელი მის წინაშე იდგა და უაზროდ ახამხამებდა ძილისაგან შეშუპებულ თვალებს.

სიმონ ცირეკიძემ დობორჯგინიძეს სკამზე მიუთითა და მის მოპირდაპირედ ჩამოჯდა, სიჩუმემ დაისადგურა. დობორჯგინიძე შეკითხვებს ელოდა. და [illegible] ხან

წუთზე ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას და ეჭვი [illegible] რება, რომ ტყვია „ვალტერისაა", ხოლო საბურავის კვალი „მოსკვიჩის", ამის შესახებ რა იცი?

ტელეფონის ზარმა დაიწკრიალა, ვარლამმა ყურმილი აიღო.

— ამხანაგო კაპიტანო, მოგახსენებთ პასუხისმგებელი მორიგე, მილიციის უფროსი გთხოვთ თქვენ და სიმონ ცირეკიძეს დაუყოვნებლივ გამოცხადდეთ მასთან.

— ახლავე, — უპასუხა ვარლა-

ბ. აბულაძე

# დამნაშავის სისხლიან კვალზე

## (დოკუმენტური მოთხრობა)

ერთ და ხან მეორე ოპერრწმუნებულზე გადაჰქონდა.

სიჩუმეში გავიდა სამიოდე წუთი, დობორჯგინიძეს გული გადაელია ლოდინისაგან და ხელების სრესას მოჰყვა, შემკითხავი მზერა ვარლამ ცქიფურიშვილს მიაპყრო და ჩაახველა.

— გისმენთ, — სიტყვა დაუგდო ვარლამმა.

— რა გაინტერესებთ? — მოკლედ იკითხა დობორჯგინიძემ.

— შენ როგორ ფიქრობ, რა უნდა გვითხრა? — კითხვითვე მიმართა სიმონმა.

— არ ვიცი უფროსო, რა გითხრათ და საიდან დავიწყო.

— ტყიბულში შენი ჩამოსვლიდან და მუშაობის დაწყებიდან გვიამბე ყველაფერი დეტალურად, თუ რაიმე გაურკვეველი იქნება დამატებით შეგეკითხებით, — უთხრა ვარლამმა.

— კარგი, — უპასუხა დობორჯგინიძემ და დაწვრილებით მოუთხრო თავისი ამბავი. მილიციის მუშაკები მალე მიუხვდნენ ეშმაკობას — დობორჯგინიძე დამაჯერებლად ჰყვებოდა იმას, რაც უკვე ცნობილი და დადგენილი იყო. სხვებთან მისი ურთიერთკავშირის ამბებს კი ოსტატურად უვლიდა გვერდს.

ვარლამმა თხრობის „აზარტში" შესული დობორჯგინიძე შეაჩერა და წინ დაულაგა კასტეტი, ფინური დანა, „ვალტერის" ტყვიები და ამოღებული ნაქურდალი. დობორჯგინიძეს ფერი ეცვალა.

— იცით თუ არა თქვენ, ამირან დობორჯგინიძევ, რომ კალმახელიძის ჭრილობიდან ამოღებულია საზღვარგარეთული წარმოების ცეცხლმსროლელი იარაღის ტყვიები და ექსპერტიზაზეა გაგზავნილი, რომ შემთხვევის ადგილიდან აღებულია ავტომანქანის საბურავების კვალი. ჩვენ წუთი

მმა და მორიგეს დობორჯგინიძის გაყვანა დაავალა...

* * *

მილიციის უფროსის აკაკი მამალაძის კაბინეტში ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— ალო, გისმენთ! — ჩასძახა ყურმილში.

— გელაპარაკებათ ბათუმის მილიციის უფროსი მაღრაძე, გამარჯობა აკაკი, როგორ ბრძანდები?

— გაგიმარჯოს ჩემო დიმიტრი, არა მიშავს, თავად როგორ გიკითხო?

— აკაკი დღეს დილით 9 საათზე ბათუმის საავადმყოფოში მოიყვანეს ცეცხლმსროლელი იარაღით მკერდისა და მენჯის არეში მძიმედ დაჭრილი უცნობი მოქალაქე. არავითარი საბუთი არ გააჩნია, პიროვნება ჯერჯერობით დაუდგენელია, დაჭრილი უგონოდაა. ხომ არ ჰქონდა ადგილი, თქვენს ტერიტორიაზე რაიმე მსგავს შემთხვევას? დაწვრილებით სპეციალური ტელეფონოგრამით გაცნობებთ.

— დიახ, დიახ, ფრიად საინტერესო დამთხვევაა, სად ბათუმი და სად ტყიბული. ჩვენთანაც მოხდა გარიჟრაჟზე მსგავსი შემთხვევა, მაგრამ ამ ფაქტს შორის კავშირი დაუჯერებელ ამბად მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში გთხოვთ აწარმოოთ მუშაობა, მე სასწრაფოდ ჩვენს ოპერრწმუნებულებს გამოვგზავნი, — აღელვებით ჩაილაპარაკა და ისე დაუშვა ყურმილი, რომ დამშვიდობებაც კი დაავიწყდა.

შეიძლება უბრალო დამთხვევაა, შეიძლება კი კვალს დავადექით, ჩაილაპარაკა თავისთვის და ელექტროღილაკს თითი დააჭირა. შემოსულ მორიგეს ოპერატიული მუშაკების: ცქიფურიშვილისა და ცირეკიძის გამოძახება დაავალა.

●

(დასაწყისი „მებრძოლი გუშაგი" № 10-14)

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# მოეწყო გამოფენა

**ქ. თბილისის** № 1 სახანძრო ნაწილის პარტიული აქტივის ინიციატივით, საქართველოს სსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო მეტყველებაში მძიმე დარღვევების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა. მოწვეულთაგან გამოფენას დაესწრნენ და კეთილი სურვილები გამოსთქვეს: საქართველოს სსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის მსახიობის სახლის დირექტორმა ლ. მილორავამ, მთავარმა ადმინისტრატორმა მ. თოფურიამ, მეთოდისტ-ექსპოზიციონერმა ქ. ბედელაძემ, კალინინის რაიონის პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორმა მ. მარტინენკომ.

გამოფენა დაათვალიერა საქართველოს სსრ თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ გ. ლორთქიფანიძემ. სკოლის დირექტორმა მ. ცხოიძემ აღნიშნა მნიშვნელობა ჩატარებული ღონისძიებისა და მოსწავლეების, პედაგოგიური კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა გამოფენის ორგანიზატორებს საგამოფენო დარბაზში გატარებული ღირსახსოვარი წუთებისათვის.

**ა. მახარაშვილი,**
**ქ. თბილისის № 1 სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, შ/ს უფროსი ლეიტენანტი.**

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72;
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 99-1-41-24.

რედაქტორი
ა. კოზალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00239